

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №97

2013 წლის 8 აპრილი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ამ წესით მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ 2012 წლის და შემდგომი წლების წლიური ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



## სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი

### მუხლი 1. შესავალი

1. სახელმწიფო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგება ხასიათდება მკაცრი ნორმატიული რეგლამენტაციით, რომლის მიზანია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა და ანგარიშგება.
2. სახელმწიფო ერთეულების საქმიანობის სწორად დაგეგმვა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობაზე კონტროლის განხორციელება შესაძლებელია მათ ფინანსურ მდგომარეობაზე და შედეგებზე სრულყოფილი ინფორმაციის არსებობით.
3. სახელმწიფო ერთეულების ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).
4. საერთაშორისო სტანდარტებით შემუშავებულია ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი და ალტერნატიული მეთოდები.
5. საჯარო სექტორის აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში, 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებით სახელმძღვანელოდ მიღებული "საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის" შესაბამისად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დარიცხვის მეთოდის, როგორც ძირითადი მეთოდის, სრულად დანერგვამდე, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში (შემდგომში, ორგანიზაციები) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების შედგენა განხორციელდება ალტერნატიული მეთოდის - მოდიფიცირებული საკასო მეთოდის გამოყენებით.
6. მოდიფიცირებული საკასო მეთოდის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ალტერნატიული სისტემის მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების თავსებადობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ეკვივალენტურ ანგარიშგებებთან.
7. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) განსაზღვრებებს, კლასიფიკაციებს და მითითებებს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა.

### მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. წინამდებარე წესის მიზანია სახელმწიფო ერთეულების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესების და პრინციპების განსაზღვრა.
2. მოდიფიცირებული საკასო მეთოდით 2012 წლის და შემდგომი პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგების შედგენა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრული დარიცხვის მეთოდის დანერგვამდე.
3. მოდიფიცირებული საკასო მეთოდი განსაზღვრავს ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვას და ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ასახვას როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდის

გამოყენებით, ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დაშვებების და პრინციპების, აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმების და საქართველოს საჯარო სექტორში დღეს მოქმედი მეთოდოლოგიით აღიარებული კონცეფციების და სტანდარტების გამოყენებით.

4. წინამდებარე წესში წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შედგენის ზოგადი პრინციპები და მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის სავალდებულო მოთხოვნები.

5. გარდამავალ ეტაპზე, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულ დანერგვამდე, ოპერაციების და სხვა მოვლენების განმარტება, აღიარება, შეფასება დასაშვებია ამ წესის შესაბამისად.

6. ეს წესი თანაბრად არეგულირებს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე, მხარჯავი დაწესებულების კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებას.

7. წინამდებარე წესი გამოიყენება კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების მოსამზადებლად იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ცალ-ცალკე ინდივიდუალური ანგარიშგებების მომზადება.

8. მხარჯავი დაწესებულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც იმ ერთეულების ანგარიშგებას, რომლებიც აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას უსასყიდლოდ, ასევე ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების ანგარიშგებას.

9. კონსოლიდაციას უნდა დაექვემდებაროს დროებით კონტროლირებული ერთეულიც, რომლის კონტროლის ვადა არ აღემატება შეძენიდან თორმეტ თვეს (მ.შ. სახაზინო კოდების დროებით განკარგვა) და მასზე კონტროლი ხორციელდება მისი რეალიზაციის მიზნით და მაკონტროლებელი ინტენსიურად ეძებს მყიდველს. ამასთან, ასეთ ერთეულებზე ინფორმაცია უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

10. ორგანიზაციის კონსოლიდაციიდან ამოთიშვის საფუძველი არ შეიძლება იყოს მისი საქმიანობის სპეციფიკის განსხვავებულობა კონსოლიდაციას დაქვემდებარებული სხვა ერთეულების საქმიანობის სპეციფიკიდან (მაგ. ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ორგანიზაციის და სხვა ერთეულის).

11. ეს წესი არ გამოიყენება შუალედური (კვარტალური) და სხვა ვადებში შედგენილი ფინანსური ანგარიშგებისთვის.

### **მუხლი 3. გამოყენებული ტერმინები**

1. ამ წესის მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2. **ფინანსური ანგარიშგება** - ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების სტრუქტურული აღწერა.

3. **სააღრიცხვო პოლიტიკა** - ორგანიზაციის მიერ აღიარებული სპეციფიკური პრინციპები, საფუძვლები, შეთანხმებები, წესები და გამოცდილება, რომლებიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისათვის.

4. **დარიცხვის მეთოდი** - ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები ან მოხდება თუ არა მომავალში გადახდა/მიღება.

5. **საკასო მეთოდი** - ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, როცა ეკონომიკური მოვლენა აისახება მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ფულადი სახსრების მიღება ან გადახდა.

6. **ეკონომიკური ორგანიზაცია** - ერთეულების ჯგუფი, რომელიც მოიცავს მაკონტროლებელ ერთეულს და ერთ ან მეტ კონტროლირებულ ერთეულს. წინამდებარე წესში გამოიყენება მხარჯავი დაწესებულების განსაზღვრისთვის, რომლის ვალდებულებას კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების მომზადებაზე

განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობა.

7. **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება** - ეკონომიკური ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია როგორც ერთი ერთეულის ფინანსური ანგარიშგება.

8. **ერთეულის მიერ განხორციელებული კონტროლი** - უფლებამოსილება მართოს სხვა ერთეულების ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, ფულადი ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით.

9. **კონტროლირებული ერთეული** - ერთეული რომელიც იმყოფება სხვა ერთეულის (ცნობილი როგორც მაკონტროლებელი) კონტროლის ქვეშ.

10. **მაკონტროლებელი ერთეული** - ერთეული, რომელიც აკონტროლებს ერთ ან მეტ კონტროლირებულ ერთეულს.

11. **ოპერაციები** - ორ ან მეტ ერთეულს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ურთიერთქმედება ან მოქმედება ცალკეული ერთეულის შიგნით.

12. **ურთიერთშეთანხმება** - ერთეულებს შორის შეთანხმების პირობების წინასწარ გაცნობა და თანხმობა, რაც არ ნიშნავს მხოლოდ ერთეულების ოპერაციაში ნებაყოფლობით მონაწილეობას.

13. **მონეტარული ოპერაცია** - ოპერაცია, რომელშიც ერთი ერთეული ახორციელებს გადახდას ან იღებს ვალდებულებას, რომლის დაფარვა მოხდება ფულადი სახსრებით.

14. **არამონეტარული ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც არ არის მონეტარული და აღრიცხვის მიზნებისთვის, ფასდება ფულადი საზომი ერთეულით.

15. **გაცვლითი ოპერაცია** - ოპერაცია, რომლის დროსაც ერთი ერთეული მეორე ერთეულისთვის უზრუნველყოფს აქტივს/მომსახურებას ან ფარავს ვალდებულებას და სანაცვლოდ მეორე მხარეს უშუალოდ გადასცემს მიახლოებით იგივე ღირებულებას (ძირითადად, საქონლის, მომსახურების ან აქტივის გამოყენების შესაძლებლობის სახით).

16. **არაგაცვლითი ოპერაცია** - ოპერაცია, რომლის დროსაც ერთეული ან იღებს ღირებულებას მეორე ერთეულისგან მიახლოებითი ღირებულების უშუალოდ გაცემის გარეშე, ან გადასცემს სხვა მხარეს ღირებულებას, უშუალოდ მისგან მიახლოებითი ღირებულების მიღების გარეშე.

17. **ბარტერული ოპერაცია** - ოპერაცია, როდესაც ორი ერთეული ცვლის თანაბარი ღირებულების საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს, გარდა ფულადი სახსრებისა.

18. **ფლობით მიღებული მოგება/ზარალი** - საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, ოპერაციის გარდა, სხვა მოვლენების შედეგად აქტივების/ვალდებულებების ზრდა/კლება.

19. **აქტივები** - წარსულში ეკონომიკური მოვლენის შედეგად მიღებული ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი რესურსი, რის საფუძველზეც მოსალოდნელია ორგანიზაციაში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა.

20. **ვალდებულება** - ორგანიზაციის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული ოპერაციების ან სხვა მოვლენების შედეგად და რომლის შესრულებაც გულისხმობს ორგანიზაციის ეკონომიკურ სარგებელში ან მომსახურების პოტენციალში განივთებული რესურსების გასვლას ორგანიზაციიდან.

21. **კაპიტალი** - აქტივებისა და ვალდებულებების მთლიან თანხებს შორის სხვაობა.

22. **წმინდა ღირებულება** - ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივების გარდა, ყველა აქტივის მთლიან ღირებულებასა და ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებების გარდა, ყველა ვალდებულების მთლიან ღირებულებას შორის სხვაობა.

23. **საკუთარი კაპიტალი** - ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივების ღირებულებას მინუს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ვალდებულებების ღირებულება.

24. **ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)** - ფინანსური ანგარიშგების ნაწილი, რომელიც მოიცავს ფინანსური აქტივების, არაფინანსური აქტივების,

ვალდებულებებისა და კაპიტალის მონაცემებს დროის გარკვეული პერიოდისათვის.

25. **საბალანსო ღირებულება** - თანხა, რომლითაც აქტივი ასახულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში პირვანდელი ღირებულების კორექტირებების (ცვეთა, გადაფასება და სხვ.) გათვალისწინებით.

26. **პირვანდელი ღირებულება** - თანხა, რომლითაც აქტივი აისახება თავდაპირველად, შეძენის და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული დანახარჯებით.

27. **სალიკვიდაციო ღირებულება** - ნეტო თანხა, რომელიც მოსალოდნელია დარჩეს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვისას, გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯის გამოკლებით.

28. **წმინდა ფინანსური ღირებულება** - წმინდა ფინანსურ აქტივებს და წმინდა ფინანსურ ვალდებულებებს შორის სხვაობა.

29. **ანგარიშგების თარიღი** - იმ საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო თარიღი, რომელთანაც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგება.

30. **არსებითი შეცდომები** - მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გამოვლენილი ისეთი შეცდომები (გამოტოვება, დამახინჯება), რომ ერთი ან მეტი გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებები ვეღარ ჩაითვლება საიმედოდ ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის.

31. **საანგარიშგებო ვალუტა** - ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებული ეროვნული ვალუტა.

32. **უცხოური ვალუტა** - ყველა სხვა ვალუტა, რომელიც სახელმწიფო ერთეულისთვის არ წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

33. **საკურსო სხვაობა** - ერთი და იმავე ოდენობის უცხოური სავალუტო ერთეულის საანგარიშგებო ვალუტაში ასახვისათვის სხვადასხვა გაცვლითი კურსის გამოყენების შედეგად მიღებული სხვაობა.

34. **ფულადი სახსრები** - ნაღდი ფული და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

35. **ფულადი სახსრების ეკვივალენტები** - მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

36. **ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება** - საანგარიშგებო პერიოდში ფულადი სახსრების წყაროების და მისი გამოყენების შესახებ ანგარიშგება.

37. **ფულადი სახსრების მოძრაობა** - ფულადი სახსრების შემოდინება/გადინება.

38. **ნაკადები საოპერაციო საქმიანობით** - ფულადი ნაკადები ორგანიზაციის მიმდინარე ოპერაციების შედეგად, ასევე სხვა საქმიანობით, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობას.

39. **ნაკადები საინვესტიციო საქმიანობით** - ფულადი ნაკადები ორგანიზაციის არაფინანსური აქტივებით ოპერაციების შედეგად.

40. **ნაკადები ფინანსური საქმიანობით** - ფულადი ნაკადები ორგანიზაციის ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების შედეგად.

41. **ფულადი აქტივები** - აქტივები, რომლებშიც ჩადებულია მოთხოვნა ფულის გარკვეულ ოდენობაზე (ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და ობლიგაციები და სხვ.).

42. **დეპოზიტები** - ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ორგანიზაციის ანგარიშგებზე დროებით განთავსებული ფულადი შენატანები.

43. **ფულად სახსრებზე კონტროლი** - ორგანიზაციის უფლება გამოიყენოს ფულადი სახსრები დამატებითი შემოსულობების მიღების მიზნით ან საკუთარი მიზნებისთვის სხვა ფორმით მიიღოს მისგან ეკონომიკური სარგებელი და შესაძლებლობა არ დაუშვას ან არეგულიროს სხვა ერთეულების წვდომა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე.

44. **დაფინანსება** - საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის გზით ორგანიზაციის უზრუნველყოფა

აუცილებელი ფინანსური რესურსებით.

45. **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** - საოპერაციო საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების შემოსავლებიდან, ამავე საქმიანობისათვის ფულადი სახსრების გადახდების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა - საოპერაციო სალდო.

46. **წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან** – არაფინანსური აქტივების (გარდა სხვა მატერიალური მარაგებისა) რეალიზაციით ფულადი სახსრების შემოსულობებიდან არაფინანსური აქტივების (გარდა სხვა მატერიალური მარაგებისა) მიღებაზე ფულადი სახსრების გადახდების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა - მთლიანი სალდო.

47. **ფულადი სახსრების პროფიციტი/დეფიციტი** – წმინდა ფულად სახსრებს საოპერაციო საქმიანობიდან, გამოკლებული წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან (დადებითი ნიშნით “პროფიციტი”, უარყოფითი ნიშნით “დეფიციტი”).

48. **წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** - ფინანსური აქტივების წმინდა მიღებით ფულადი სახსრების შემოსულობებს დამატებული წმინდა ვალდებულების წარმოქმნით მიღებული ფულადი სახსრების შემოსავლები.

49. **ფინანსური აქტივების წმინდა მიღება, გარდა ფულადი სახსრებისა** - ფინანსური აქტივების გასვლით (გარდა ფულადი სახსრებისა) წარმოქმნილ შემოსავლებს მინუს ფინანსური აქტივების მიღებით (გარდა ფულადი სახსრებისა) წარმოქმნილი გასავლები.

50. **წმინდა ვალდებულების წარმოქმნა** - ვალდებულების წარმოქმნით მიღებულ ფულად სახსრებს მინუს ვალდებულების დაფარვით გამოწვეული გასავლები.

51. **ფულადი სახსრების ნაშთის წმინდა ცვლილება** - ფულადი სახსრების პროფიციტს/დეფიციტს დამატებული დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები.

52. **განსაკუთრებული მუხლები** - ისეთი მოვლენებისა და გარიგებების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები და გადასახდელები, რომლებიც აშკარად განსხვავდება ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობისგან, რომელთა გამეორებას არ ექნება ხშირი და რეგულარული ხასიათი და რომლებიც ორგანიზაციის კონტროლის ან ზეგავლენის მიღმა რჩება.

53. **ანგარიშები** – სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში და ერთიანი სავალუტო ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკში, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშები კომერციულ ბანკებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არაკომერციული(არამომგებიანი) საწარმოების ანგარიშები კომერციულ ბანკებში.

54. **საფინანსო დაწესებულება** - ფინანსური მომსახურების უზრუნველყოფით დაკავებული ერთეული.

#### **მუხლი 4. სტრუქტურული საფუძვლები**

1. წინამდებარე წესით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლები განკუთვნილია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციაზე ვრცელდება საბიუჯეტო შეზღუდვები და მის მიერ საბიუჯეტო სახსრებით გადახდაზე ვალდებულების აღება და გადახდის განხორციელების უფლებამოსილება განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

3. “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის” თანახმად, ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება საკასო მეთოდის შესაბამისად, ხოლო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგება - სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის უნივერსალურობის პრინციპის თანახმად,

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისთვის დაუშვებელია, გარდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული შემთხვევებისა.

5. მიღებული შემოსავლების გამოყენებაზე შეზღუდვა გათვალისწინებულია შემოსავლების საკასო შესრულების შემთხვევაში, რომლის დროსაც წარმოიქმნება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება და წინამდებარე წესის მიხედვით, ამ შემთხვევაში დასაშვებია ფულადი სახსრების სახით რიცხული ფინანსური აქტივით ვალდებულების დაფარვა (ურთიერთგადაფარვა).

6. საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის არამონეტარული ოპერაციებით მიღებული შემოსავლების გამოყენება დასაშვებია.

7. დონორების დაფინანსებით მიღებული მიზნობრივი გრანტები წარმოადგენენ საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოსავლებს და მისი გამოყენება ორგანიზაციის მიზნებისთვის დასაშვებია. მიზნობრივი გრანტები ორგანიზაციის შემოსავლებად აღირიცხება საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

8. საბიუჯეტო წლის ბოლოს მიზნობრივი გრანტები აისახება ბიუჯეტში, როგორც საბიუჯეტო სახსრები და ორგანიზაციის მიერ აღირიცხება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

9. ორგანიზაციის საერთო საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება დამაბალანსებელი მუხლის - აქტივების წმინდა ღირებულების და მოგება-ზარალის მაჩვენებლები.

10. გარდა შემაჯამებელი მაჩვენებლებისა, ანალიზისთვის გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის შესახებ დეტალური მონაცემებიც.

11. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქმიანობის სრული, ყოვლისმომცველი ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით, შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგებების პარალელურად წარდგენილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია - არაფინანსური ანგარიშგებების ჩათვლით.

12. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები ფინანსურ ანგარიშგებაში ორგანიზაციის მიერ აღიარდება როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება, მიზნობრივი ფონდებიდან საბიუჯეტო ორგანიზაციის ვალდებულებების დაფარვის გარდა.

13. არამონეტარული ოპერაციები (ბარტერი, გაცვლა, გასვლა) ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, გარდა ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციებისა, რომელიც კონსოლიდაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, პირდაპირ აისახება აქტივების წმინდა ღირებულების ანგარიშზე.

14. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯები საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

15. ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი ფონდებიდან საბიუჯეტო ორგანიზაციის ვალდებულებების დაფარვის ანგარიშგებაში ასახვა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხდება არაგაცვლითი ოპერაციებით მიღებული შემოსავლების სახით.

16. ეკონომიკური მოვლენები, საბიუჯეტო სისტემის ფუნციონირების პრინციპების გათვალისწინებით, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება იმ პერიოდში, როცა ეკონომიკური მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები წარმოდგენილია ორგანიზაციაში (ორგანიზაციის საბუღალტრო სამსახურში) და არა ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღის შესაბამის პერიოდში, როგორც ამას ითვალისწინებს დარიცხვის მეთოდი.

17. შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის განსაზღვრებების საფუძველზე.

18. ბალანსის შესაბამის მუხლებში აისახება მხოლოდ ის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კლასიფიკაციით და წინამდებარე წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.
19. ყველა ოპერაცია, რომელიც ზრდის ორგანიზაციის აქტივებს, არის მიღება. ყველა ოპერაცია, რომელიც ამცირებს ორგანიზაციის აქტივებს, არის გასვლა.
20. ფინანსური აქტივის ან ვალდებულების მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.
21. ოპერაცია, რომელიც ზრდის ვალდებულებას, არის ვალდებულების წარმოქმნა, ხოლო რომელიც ამცირებს ვალდებულებებს, არის: გადახდა, დაფარვა, ლიკვიდაცია ან გაუქმება.
22. ოპერაციები ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით აისახება მაშინ, როდესაც აქტივზე საკუთრების უფლება იცვლება, აქტივი წარმოიშობა ან განიცდის ლიკვიდაციას. იმ შემთხვევაში როცა ოპერაციაში მონაწილე მხარეები საკუთრების უფლებათა გადაცემის მომენტად განსხვავებულ თარიღებს აღიარებენ (ღებულობენ დოკუმენტებს, რომლებიც ოპერაციის სხვადასხვა დროში განხორციელებას ადასტურებენ) ოპერაციის ასახვის მომენტად მიჩნეულია ის თარიღი, რომელსაც ასახავს კრედიტორი და ორგანიზაციის მიერ მიეთითება ფინანსურ ანგარიშგებაში.
23. როდესაც ოპერაცია ფინანსური აქტივით ან ვალდებულებით მოიცავს არაფინანსურ კომპონენტს, ასახვის მომენტი განისაზღვრება არაფინანსური კომპონენტის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას იმ არაფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფინანსური ოპერაციების შემადგენელი კომპონენტებია.
24. ფინანსური აქტივის კონკრეტული კატეგორიის ოპერაციათა შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც მთლიანი მიღება და მთლიანი გასვლა. ასევე, ცვლილებები ვალდებულებებში წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც მთლიანი ვალდებულების წარმოქმნა და მთლიანი შემცირება.
25. როდესაც ერთი და იმავე სახის ფინანსური ინსტრუმენტი წარმოადგენს როგორც ფინანსურ აქტივს, ასევე ვალდებულებასაც, არ ხდება განაშთვა ფინანსური ვალდებულებათა ოპერაციების ფინანსური აქტივების ოპერაციებთან დაპირისპირებით. ოპერაციები ფინანსური აქტივებით წარმოდგენილი უნდა იყოს ვალდებულებებით განხორციელებული ოპერაციებისაგან განცალკევებით.
26. ოპერაციათა განხორციელებისას გაწეული მომსახურების საფასური, მოსაკრებლები, საკომისიოები და მსგავსი გადახდები, და ამ ოპერაციებზე გადასახდელი ნებისმიერი გადასახადი, გამოირიცხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციებისგან და განიხილება როგორც ხარჯვითი ოპერაციები.
27. ოპერაციები, რომლითაც შემოსავლები ან ხარჯები წარმოიქმნება, აქტივების წმინდა ღირებულების შეცვლას იწვევს. სხვა სახის ოპერაციები აქტივებსა და/ან ვალდებულებებში თანაბარ ცვლილებებს განაპირობებს და აქტივების წმინდა ღირებულების შეცვლას არ იწვევს.
28. ოპერაციები, რომლებიც ცვლიან ფინანსური აქტივის კატეგორიას, არ ერთიანდებიან იმ ოპერაციებთან, რომლებიც განაპირობებენ ამავე კატეგორიის ვალდებულებათა ცვლილებას.
29. ბარტერი, ნატურალური ფორმით ანაზღაურება და ნატურალური ფორმით სხვა გადახდები არამონეტარული გაცვლითი ოპერაციებია.
30. ოპერაციის გარეშე სხვა მოვლენების შედეგად აქტივების/ვალდებულებების მოცულობის ან ღირებულების ცვლილება განსაზღვრულია როგორც ფლობით მიღებული მოგება/ზარალი და აისახება წმინდა ღირებულებაზე გადახურვით.
31. დონორების დაფინანსებით ან დეპოზიტების სახით მიღებული ფულადი სახსრები აღირიცხება შესაბამისად, მიზნობრივი გრანტის სახით სხვა ანგარიშებზე ან დეპოზიტების ანგარიშებზე, უცხოური ან ეროვნული ვალუტის მიხედვით.
32. კრედიტორის მიერ დებიტორისათვის ავანსად გადახდილი სახსრების ღირებულება



ფინანსურ ანგარიშგებაში (გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა) წარმოადგენს ახლად შექმნილი ფინანსური მოთხოვნის ღირებულებას, მიუხედავად იმისა, გადახდები არის თუ არა განხორციელებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის „დებიტორული დავალიანების“ მუხლიდან.

33. დეპოზიტებსა და სესხებზე დარიცხული პროცენტის აღრიცხვა კლასიფიცირდება შესაბამისად, როგორც დებიტორული ან კრედიტორული დავალიანება.

34. დეპოზიტების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მთლიანი ვალდებულება ტოლია ფულადი სახსრების სახით რიცხული მთლიანი ფინანსური აქტივების. შედეგად დეპოზიტების წმინდა ფინანსური ღირებულება ნულის ტოლია.

35. ზოგიერთ კატეგორიაში ვალდებულებები განიხილება როგორც ვალი. სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ჩვეულებრივი საპროცენტო და ძირითადი თანხის ოპერაციების გარდა, ორგანიზაციამ შეიძლება განახორციელოს ვალებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები: სხვა ერთეულების ვალის აღება საკუთარ თავზე, სხვა ერთეულების სახელით გადახდების განხორციელება, ვალის გადავადება, ვალის პატიება, ვალის გაუქმება და ფინანსური იჯარა.

36. საპროცენტო ხარჯის დარიცხვა და განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტის დამატებითი ოდენობის სახით მისი მოთხოვნად აღიარება ხდება გადახდის ვადის დადგომისას.

37. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ითვალისწინებს ცხოველების და მცენარეების ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეულ შემთხვევით დანაკარგებს, აგრეთვე ცხოველების და მცენარეების ხანდაზმულობის გამო მათი ღირებულების შემცირებას.

38. ძირითადი კაპიტალის მოხმარება გაიანგარიშება ყველა სახის (კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის გარდა) მატერიალურ და არამატერიალურ ძირითად აქტივთან მიმართებით (მ. შ. ფინანსური ლიზინგით მიღებული), კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით, მიუხედავად იმისა, აქტივი არის თუ არა ექსპლუატაციაში.

39. ცხოველებისა თუ მცენარეების გაუთვალისწინებელი დანაკარგები, რაც განპირობებულია ეპიდემიების გავრცელებით, დაბინძურებით, გვალვით, შიმშილობით თუ სხვა სახის სტიქიური უბედურებებით, ასევე, მოულოდნელი ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მიღებული დანაკარგები, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა და არაწარმოებული აქტივების, როგორცაა მიწა და ბუნებრივი ნედლეული, გამოფიტვისა თუ ხარისხობრივი გაუარესების პერიოდი, განიხილება როგორც სხვა მოვლენების შედეგად აქტივების ცვლილებები და აისახება ფლობით მიღებული მოგება/ზარალად (ეკონომიკური საქმიანობის გარდა, სხვა შემთხვევებში).

40. არაწარმოებული აქტივების, როგორც ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ქმედებებით შექმნილი აქტივების, ეკონომიკურ აქტივებად აღიარება ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება როგორც ფლობით მიღებული მოგება (ეკონომიკური საქმიანობის გარდა, სხვა შემთხვევებში).

## **მუხლი 5. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები**

1. ანგარიშგების თარიღისთვის, საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ სრული, უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენა ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფილია ძირითადი დაშვებების, ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების და ამ წესით განსაზღვრული სააღრიცხვო პრინციპების გამოყენებით.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპია – ყველა ეკონომიკური მოვლენა, რომელიც იწვევს აქტივებისა და ვალდებულების მიღებას ან გასვლას ან ცვლილებებს მათ

ღირებულებასა თუ სტრუქტურაში, აღირიცხება საბუღალტრო წიგნში ორმაგი გატარებით.

3. მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებია:

- ა) **ორმხრივობის** - აქტივები ტოლია ვალდებულებების და კაპიტალის ჯამის.
- ბ) **ფულადი ღირებულებებით შეფასების** - ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები ასახავენ მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება ფულადი სახით აღირიცხოს.
- გ) **ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის)** - ბუღალტრული აღრიცხვის დაშვება, რომ ორგანიზაცია განაგრძობს თავის საქმიანობას წლიდან წლამდე განუსაზღვრელი ვადით, თუ არ არსებობს საპირისპიროს მტკიცების საფუძველი.
- დ) **აქტივების შეფასების** - სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, აქტივის თანხა განისაზღვრება მისი რეალური ღირებულებით. სხვა შემთხვევაში შეფასება ემყარება მის თვითღირებულებას.

4. იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაცია არ არის ფუნქციონირებადი (თუ სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ერთეულის საქმიანობის შეჩერება, მოსალოდნელია ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია), ერთეულმა არ უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) ბუღალტრული პრინციპის გამოყენებით.

5. თუ ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) ბუღალტრული პრინციპი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას არ გამოიყენება, მაშინ ეს უნდა იყოს განხილული განმარტებით შენიშვნებში, ისევე როგორც მიზეზები, თუ რატომ არ გამოიყენება ეს მიდგომა.

6. ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს, თუ რა თანხად გაიყიდება აქტივები იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაცია შეწყვეტს არსებობას.

7. ფულადი აქტივების აღრიცხვა ხდება მათი რეალური ღირებულების მიხედვით, ხოლო არაფულადი აქტივების - მათი თვითღირებულების ან თვითღირებულებაზე დამყარებული თანხის მიხედვით.

8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლებია:

ა) **აღქმადობა** - გულისხმობს ფინანსურ შედეგებზე ინფორმაციის წარდგენას ისეთი ფორმით, რომ სახელმწიფო ერთეულების მიერ საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების და მიზნობრიობის დაცულობის შეფასებისას მომხმარებლისთვის იყოს ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი.

ბ) **შესაბამისობა** - ითვალისწინებს ინფორმაციის სარგებლიანობას, რომ ის ახდენს გავლენას ინფორმაციის მომხმარებელზე ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში იმით, რომ მას ეხმარება შეაფასოს ორგანიზაციის წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, ან დაადასტუროს ან შეასწოროს ადრინდელი შეფასებები. შესაბამისობას განსაზღვრავს:

ბ.ა) **არსებითობა** - გულისხმობს, რომ ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. საკითხები, რომლებიც არსებითია ზომით, მაგრამ ანალოგიური არიან შინაარსით, შესაძლებელია აგრეგირებულ იქნენ. არაარსებითი თანხების გაერთიანება უნდა მოხდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით. მუხლი, რომელიც არ არის საკმარისად არსებითი იმისათვის, რომ იგი ცალკე იქნეს წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლებელია საკმარისად არსებითი იყოს იმისათვის, რომ ცალკე მუხლად იქნეს წარდგენილი შენიშვნებში.

გ) **საიმედოობა** - ითვალისწინებს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული განსაზღვრებების და კრიტერიუმების შესაბამისად აქტივებზე, ვალდებულებებზე, შემოსავლებზე და ხარჯებზე, ასევე, ოპერაციების და სხვა მოვლენების კაპიტალზე გავლენის ზუსტი შეფასების წარმოდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში და არ შეიცავს არსებით შეცდომებს. საიმედოობა მიიღწევა შემდეგის გათვალისწინებით:

გ.ა) **წინდახედულება** - გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების

პროცესში გაურკვეველი მოვლენების შეფასებისას სიფრთხილის გამოჩენას;

**გ.ბ) ნეიტრალურობა** - ნიშნავს, რომ არ ასახავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინასწარგანზრახულ შედეგს განაპირობებს;

**გ.გ) სამართლიანი წარდგენა** - გულისხმობს ოპერაციების და სხვა მოვლენების შესახებ ინფორმაციის სამართლიანად ასახვას;

**გ.დ) შინაარსის ფორმასთან უპირატესობა** - ნიშნავს, რომ ოპერაციები და სხვა მოვლენები ასახულია ეკონომიკურიშინაარსით (საბიუჯეტო კლასიფიკაციის გათვალისწინებით) და არა მხოლოდ ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმით. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საქმიანობის შინაარსი და არა მისი იურიდიული ფორმა. ეს პრინციპი მხოლოდ ფინანსურანგარიშგებაში გამოიყენება და მნიშვნელოვანია და აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღებისას.

**გ.ე) სისრულე** - ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს გამოტოვებული არსებითი ინფორმაცია და უნდა იყოს სრული, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების საიმედოობის და შესაბამისობის მაღალ ხარისხს.

**დ) შესადარისობა** - ითვალისწინებს ფინანსურ შედეგებზე ანგარიშგების წარდგენას საანგარიშო პერიოდის საწყის და საბოლოო თარიღებისთვის, საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების შედარებისა და შეფასების მიზნით.

9. შინაარსის ფორმასთან უპირატესობის პრინციპის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების მიზნისთვის არსებითი არ არის ორგანიზაცია მოგებაზე მომუშავე ორგანიზაციაა, სსიპ-ია ეკონომიკური საქმიანობის უფლებით თუ სხვა სახელმწიფო ერთეული. ყველა შემთხვევაში, კონტროლირებადი ორგანიზაციის განმარტება და მიდგომა ერთიანია.

10. შესადარისობის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისთვის, თუ არ მოხდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის არსებითი ცვლილება. საბიუჯეტო კლასიფიკაციის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ანგარიშგების მუხლები უნდა შეიცვალოს კლასიფიკაციასთან თავსებადობის პრინციპით და ეს ცვლილება გაცხადდეს ანგარიშგების შენიშვნებში.

11. საიმედოობის და შესადარისობის უზრუნველსაყოფად და მისგან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად, ინფორმაცია უნდა იყოს დროული - მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში მომზადებული და წარდგენილი.

## **მუხლი 6. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები**

1. ფინანსური ანგარიშგების მიზანია ერთეულის ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის მომზადება და მიწოდება.

2. სრული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა)

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი);

ბ) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში;

გ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში;

დ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში;

ე) ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში;

ვ) შენიშვნები, რომელიც შეიცავს ბუღალტრული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

3. ფინანსური ანგარიშგება წინამდებარე წესით გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმების და ინფორმაციების გარდა, დასაშვებია მოიცავდეს ანგარიშგების ფორმებს და ინფორმაციებს, რომელთა წარმოდგენაც ხდება ცალკე დამოუკიდებლად ან არის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი.

4. ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება საანგარიშო პერიოდში მომხდარი ყველა ეკონომიკური მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

5. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ელემენტს, რომელიც ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის სახით, ხოლო ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებაში - შემოსავლებისა და ხარჯების და ფლობით მიღებული მოგება/ზარალის სახით.

6. საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციას იმის შესახებ:

ა) იყო თუ არა რესურსები მოპოვებული და გამოყენებული დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

ბ) იყო თუ არა რესურსები მოპოვებული და გამოყენებული სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ფინანსური შეზღუდვების მიხედვით.

გ) შეუძლია თუ არა ორგანიზაციას გააგრძელოს მოცემული დონით საქონლისა და მომსახურების მიწოდება, აგრეთვე, განისაზღვროს რესურსების ის მოცულობა, რომელიც უნდა მიეწოდოს ორგანიზაციას მომავალში ისე, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს, კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

7. ამ მიზნების მისაღწევად, ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სუბიექტის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) აქტივების შესახებ;

ბ) ვალდებულებების შესახებ;

გ) კაპიტალის (მ.შ წმინდა ღირებულების) შესახებ;

დ) შემოსავლების და ხარჯების შესახებ;

ე) კაპიტალში (წმინდა ღირებულებაში) ცვლილებების შესახებ;

ვ) ფულადი ნაკადების შესახებ.

8. ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება იმ პერიოდისათვის, როცა ხდება ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარდგენა საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

## **მუხლი 7. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა**

1. ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და წარსადგენად გამოყენებული უნდა იქნეს ამ წესის წინამდებარე თავი.

2. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საბუღალტრო სამსახურს, ხოლო დამტკიცებაზე და ხაზინაში (საფინანსო ორგანოში) წარდგენაზე - ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

3. ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ ფულადი საზომით გამოსახულ ოპერაციებს და ნაშთებს ეხება.

4. ფინანსური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას შემდეგ დეტალებზე:

ა) ერთეულის სახელი და ცვლილებები წინა პერიოდთან მიმართებაში;

ბ) ინფორმაციას ან ცალკეული ინდივიდუალური ერთეულის ან ეკონომიკური ორგანიზაციის (ან ერთეულების გაერთიანებული ჯგუფის) შესახებ;

გ) თარიღი და პერიოდი რომელსაც მოიცავს ანგარიში;

დ) საანგარიშგებო ვალუტა;

ე) ციფრების დამრგვალების დონე.

5. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 მაისამდე.

6. წინამდებარე წესი ითვალისწინებს ანგარიშგებაში საბიუჯეტო თანხებიდან გადახრის მითითებას. ანგარიში წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფინანსური დანართით („ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში“), საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი სახით:

ა) ფინანსური ანგარიშგებებისათვის მრავალსვეტიანი ფორმატის გამოყენებით, სადაც ცალკეა გამოყოფილი სვეტი შემოსულობების და გადასახდელების დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის და საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულ გეგმურ მაჩვენებლებზე და ცალკე ამ მაჩვენებლების ფაქტიურ შესრულებაზე, ასევე, ფაქტიური შესრულების გადახრები დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან.

ბ) ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) განმარტებითი ბარათის თანდართვით იმის თაობაზე, რომ ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთან, თუ შესრულების ფაქტიური მაჩვენებლები აღემატება გეგმიურს (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ასევე, თუ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30% ან/და დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%-ს, შეუსაბამობის მიზეზებზე ინფორმაცია ასახული უნდა იყოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში ზედმეტობების თავიდან აცილების მიზნით, ბიუჯეტზე ინფორმაცია აგრერირდება ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ხარჯების კატეგორიების შესაბამისად.

8. ყველა არსებითი მუხლის წარმოდგენა ხდება განცალკევებით. არაარსებითი მუხლები აგრერირდება ეკონომიკური შინაარსის ერთგვაროვნების, წყაროების და ფუნქციების მიხედვით.

9. ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების არსებითი მუხლების განცალკევებით წარმოდგენის საფუძვლად გამოიყენება საბიუჯეტო კლასიფიკაცია და დამტკიცებული ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა.

10. აქტივების და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და გასავლების ურთიერთგადაფარვა დაუშვებელია, თუ იგი არ არის ამ წესის მოთხოვნა საბიუჯეტო სახსრებით განსახორციელებელ ცალკეულ ოპერაციებზე. მუხლების ერთიერთგადაფარვა დაშვებულია მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ან მსგავსი მოვლენებიდან მიღებული სარგებელი, ზარალი და მასთან დაკავშირებული გასავლები არ არის არსებითი.

11. აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამიჯნულია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

12. აქტივი ითვლება მოკლევადიან აქტივად, თუ:

ა) განკუთვნილია გასაყიდად/სხვა ერთეულზე გადასაცემად ან მოხმარებისთვის საოპერაციო (მიმდინარე) საქმიანობის ციკლის განმავლობაში;

ბ) მისი რეალიზაცია/მოხმარება ივარაუდება ერთი წლის განმავლობაში;

გ) წარმოადგენს ფულად სახსრებს და მის ეკვივალენტებს.

13. გრძელვადიანი აქტივი მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, რომელთა გამოყენების ვადა აღემატება ერთ წელს.

14. ვალდებულებები ითვლება მოკლევადიანად, თუ მათი დაფარვა გათვალისწინებულია საბიუჯეტო წლის დასრულებამდე, სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ გრძელვადიან ვალდებულებებს.

15. საბალანსო მუხლში ნაზარდი ჯამით აღრიცხული ვალდებულებებიდან საანგარიშო წლის დასაწყისისთვის არსებული ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში განიმარტება როგორც „ვადაგადაცილებული დავალიანებები“ და ინფორმაცია ამ სახის ვალდებულებების მოცულობაზე აისახება ბალანსის საცნობარო მუხლში.

16. ბალანსი ასახავს ინფორმაციას გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივების და ვალდებულებების შესახებ.

17. ბალანსის შედგენა ხდება ვერტიკალური ფორმატით და მასში აისახება:

- ა. ფინანსური აქტივები;
- ბ. არაფინანსური აქტივები;
- გ. ფინანსური ვალდებულებები;
- დ. კაპიტალი (მ.შ წმინდა ღირებულება).

18. ბალანსში აქტივები აისახება ქვემოთჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხებით:

- ა) ფულადი სახსრები;
- ბ) სხვა ფინანსური აქტივები;
- გ) მოთხოვნები და დებიტორული დავალიანებები;
- დ) ძირითადი აქტივები;
- ე) მატერიალური მარაგები;
- ვ) ფასეულობები;
- ზ) არაწარმოებული აქტივები.

19. კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციები, ფინანსური ანგარიშგების შედგენისას ამოითიშება და ანგარიშგება მომზადდება ისე, თითქოს ეს ოპერაციები არ განხორციელებულა საანგარიშო პერიოდში.

20. ფულად ნაკადებზე ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში (ბალანსში) აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მონაცემებიდან, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ კომპონენტს.

21. ანგარიშგებას ბალანსში ასახულ ფულად სახსრებზე თან დაერთვის დამატებითი ინფორმაცია ხაზინის ანგარიშებზე და კომერციული ბანკის ანგარიშებზე რიცხულ ფულად სახსრებზე (გამოცალკავებით), ასევე, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში რიცხულ ფულად სახსრებზე.

22. უცხოურ ვალუტაში რიცხული ფინანსური აქტივების გადაფასება ხდება ყოველ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური კურსის მიხედვით და კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული შედეგები აისახება როგორც ფლობით მიღებული მოგება/ზარალი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ხოლო იმ ორგანიზაციების შემთხვევაში, რომელთა მიერ აქტივები შეძენილია ეკონომიკური საქმიანობისთვის საქონლის და მომსახურების საბაზრო წესით გაყიდვით მიღებული შემოსავლებიდან, სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში (მოგების შემთხვევაში) ან სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებში (ზარალის შემთხვევაში).

23. მოთხოვნები წარმოქმნილი არამონეტარული ოპერაციებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება ცალკე მუხლებად, მონეტარული ოპერაციებით წარმოქმნილი მოთხოვნებიდან გამოცალკავებით.

24. ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის ინფორმაცია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული პირობითი აქტივების და ვალდებულებების შესახებ, მოვლენის ხასიათის და მოხდენის შესაძლებლობის მითითებით, როგორც გარკვეული რისკის შემცველის, ვინაიდან შესაძლებელია მოხდეს მათი აქტივებად ან ვალდებულებებად აღიარება.

## **მუხლი 8. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება**

1. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მეთოდოლოგია ეფუძნება საბიუჯეტო კლასიფიკაციას და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (IPSAS), ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიის (GFSM 2001) მოთხოვნებს.

2. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზანია ანგარიშგების თარიღისათვის ფულადი ნაკადების წყაროების და გამოყენების შესახებ, ასევე, ფულის ნაშთის შესახებ

სააღრიცხვო მონაცემებზე ინფორმაციის მიწოდება.

3. ორგანიზაცია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ადგენს და ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად წარადგენს დანართი ფორმის მიხედვით.

4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და ორგანიზაცია წარადგენს ყოველი იმ პერიოდისათვის, რომლისთვისაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება.

5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის მომხმარებლებს შეაფასონ ცვლილებები ორგანიზაციის კაპიტალში, მის ფინანსურ სტრუქტურაში (მისი გადამხდელუნარიანობისა და ლიკვიდობის ჩათვლით).

6. ორგანიზაცია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამზადებს არაპირდაპირი მეთოდის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების გამოანგარიშებას ფინანსური შედეგიდან მისი აუცილებელი კორექტირებით იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ასახავენ შესაბამის ანგარიშებზე ფულადი სახსრების რეალურ მოძრაობას.

7. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ორგანიზაციის აქტივების და ვალდებულებების მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ;

ბ) ოპერაციების და სხვა მოვლენების შედეგების და მათი გავლენის შესახებ ორგანიზაციის აქტივების ფინანსურ შედეგებზე;

გ) საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დაფინანსების, შემოსულობების და გადასახდელების მოცულობის და მათ შორის თანაფარდობის, მათი სტრუქტურისა და წყაროების შესახებ;

დ) ფულადი ნაკადების შემოდინების და გადინების, ასევე, ორგანიზაციის ლიკვიდობასთან დაკავშირებით სხვა მონაცემების შესახებ.

8. შემოსულობების მიღება უკავშირდება ფულადი სახსრების შემოდინებას, ხოლო გადასახდელების გადახდა - ფულადი სახსრების გადინებას.

9. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ფულადი სახსრების ნაკადების კლასიფიცირებას ახდენს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების მიხედვით, ადგენს საანგარიშგებო პერიოდში ფულადი ნაკადების წყაროებს, განსაზღვრავს მუხლებს, რომლებზედაც გაიხარჯა ფული და ფულის ნაშთს ანგარიშგების თარიღისათვის.

10. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების დაჯგუფება საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობების მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს თითოეული საქმიანობის გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის სახეებს შორის თანაფარდობა და ორგანიზაციის ფულადი სახსრები.

11. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მზადდება იმ ფულადი სახსრების შემოსავლებზე და გადახდებზე, რომელსაც განკარგავს ანგარიშის შემდგენი ორგანიზაცია, ასევე, რომელთა რეგულირება ორგანიზაციის მიერ ხორციელდება მესამე პირების მეშვეობით.

12. ფულადი სახსრები, დაგროვილი, ასიგნებით მიღებული ან სხვა პირის მიერ მოწოდებული, ერთეულის საოპერაციო საქმიანობის, არაფინანსური აქტივების შესაძენად ან ფინანსური ვალდებულებების დასაფარად, კონტროლდება ორგანიზაციის მიერ.

13. კომერციულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები, კონტროლდება თვით ორგანიზაციის მიერ. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ერთეული ფულად სახსრებს იღებს მთავრობის (ან სხვა ერთეულის) სახელით, ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვამდე განთავსებს თავის საბანკო ანგარიშზე, ან უნდა გადასცეს მესამე პირს მთავრობის სახელით, ფულად სახსრებს აკონტროლებს მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ის განთავსებულია მის

საბანკო ანგარიშზე.

14. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების საფუძველია ორგანიზაციის საბუღალტრო წიგნები, ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახადების სახაზინო რეგისტრები, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ხაზინის ანგარიშებზე და კომერციულ ბანკებში ორგანიზაციის ანგარიშებზე საბანკო ამონაწერები და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების მონაცემები.

15. ინვესტიცია (რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ვალდებულებების შესასრულებლად), რომელიც ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ თანხაზე, მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა და აქვს დაფარვის მოკლე ვადა (შეძენიდან სამი თვე ან ნაკლები) კლასიფიცირდება ფულადი სახსრების ეკვივალენტებად და აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

16. ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში არ ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტებად, თუ ისინი თავისი არსით, არ წარმოადგენენ ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

17. საოპერაციო საქმიანობის შედეგად ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიები შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული შემოსავლების და ხარჯების შემდეგ მუხლებს:

ა) შემოსავლები:

ა.ა) გადასახადები;

ა.ბ) გრანტები;

ა.გ) სხვა შემოსავლები.

ბ) ხარჯები:

ბ.ა) მომუშავეთა ნაზღაურება;

ბ.ბ) საქონელი და მომსახურება;

ბ.გ) პროცენტი;

ბ.დ) გრანტი;

ბ.ე) სუბსიდიები;

ბ.ვ) სოციალური უზრუნველყოფა

ბ.ზ) სხვა ხარჯები.

18. საოპერაციო საქმიანობიდან შემოსავლებსა და საოპერაციო საქმიანობაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობით განისაზღვრება წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან.

19. ძირითადი აქტივების გაყიდვის ეკონომიკურ მოვლენასთან (რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოგება/ზარალი აქტივების ფლობის შედეგად და რაც წმინდა ღირებულების გაანგარიშებაშია ჩართული), დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები აღირიცხება, როგორც ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან.

20. ფასიანი ქაღალდები და სესხები კომერციული ან სავაჭრო საქმიანობისათვის, განიხილება იმ სასაქონლო მარაგის მსგავსად, რომელიც გამიზნულია გასაყიდად და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან და სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრებით ოპერაციები კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/გასული ფულადი სახსრები.

21. საფინანსო დაწესებულებების მიერ გაცემული ავანსები და სესხები, კლასიფიცირდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად, როგორც ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის შედეგად მიღებული ნაკადები.

22. ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსების მიზნით მიღებული ფულადი სახსრები კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და ეს ფაქტი განიმარტება ანგარიშგებების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

23. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების ოდენობა ითვლება ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების მთავარ მაჩვენებლად, რომლის



მიხედვითაც ხდება შეფასება თუ რა მოცულობით ფინანსდება ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა.

24. საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიების ანგარიშგებაში წარმოდგენა ხდება მთლიან საფუძველზე.

25. ინფორმაცია საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ნაკადების ცალკეულ ელემენტთა შესახებ, სხვა ინფორმაციასთან ერთად, გამოიყენება საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

26. საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიები შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შემდეგ მუხლებს:

ა) არაფინანსური აქტივების შესყიდვები:

ა.ა) ძირითადი აქტივების;

ა.ბ) სტრატეგიული მარაგების;

ა.გ) ფასეულობების;

ა.დ) არაწარმოებული აქტივების.

ბ) არაფინანსური აქტივების გაყიდვები:

ბ.ა) ძირითადი აქტივების;

ბ.ბ) სტრატეგიული მარაგების;

ბ.გ) ფასეულობების;

ბ.დ) არაწარმოებული აქტივების.

27. საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიების ანგარიშგებაში წარმოდგენა ხდება მთლიან საფუძველზე.

28. საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ფულადი ნაკადების კატეგორიების შესაბამისი არაფინანსური აქტივების გაყიდვის და არაფინანსური აქტივების შესყიდვის შედეგად ფულად ნაკადებს შორის სხვაობა წარმოადგენს, წმინდა ფულად სახსრებს არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან.

29. საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულად სახსრებს და არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან წმინდა ფულად სახსრებს შორის დადებითი სხვაობა წარმოადგენს ფულადი სახსრების პროფიციტს, უარყოფითი სხვაობა - დეფიციტს.

30. ფინანსურ საქმიანობაში აღირიცხება:

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად განხორციელებული ოპერაციების შედეგად ფულადი ნაკადები;

ბ) დეპოზიტური თანხებით ფულადი ნაკადები ხაზინის ანგარიშებზე და ორგანიზაციის ანგარიშებზე ბანკში.

31. საბანკო სესხები ითვლება საფინანსო საქმიანობად.

32. საბანკო ოვერდრაფტები, რომლებიც ექვემდებარება განაღდებას მოთხოვნისთანავე, შეადგენენ ორგანიზაციის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილს და ჩაითვლება ფულადი სახსრების ელემენტებად.

33. ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიების მიხედვით ფინანსური აქტივების მიღების და ვალდებულებების წარმოქმნის ანგარიშგებაში წარმოდგენა ხდება წმინდა საფუძველზე.

34. ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობებით წარმოქმნილი ფულადი ნაკადები წარმოადგენენ ფულადი სახსრების მართვის ნაწილს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში არ აისახება:

ა) ფულადი ნაკადები ჭარბი ფულადი სახსრების ინვესტირებით ფულადი სახსრების ეკვივალენტებში და პირიქით,

ბ) ფულადი ნაკადები საკურსო სხვაობის შედეგად,

გ) ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობების მუხლებს

შორის.

35. ანგარიშგების თარიღისთვის ფულადი სახსრების საკასო ნაშთი, რომლის გამოყენებაც შეზღუდულია ან რეგულირდება გარეშე პირობებით, ბალანსში წმინდა საფუძველზე მიეთითება გამოცალკევებით.

36. ხაზინის ანგარიშების და ბანკში ორგანიზაციის ანგარიშების გაუვლელად ფულადი ნაკადები მესამე პირების მიერ განხორციელებული გადახდებით, ხარჯების გასაწევად, აქტივების შესაძენად და ვალდებულებების დასაფარავად, ფულადი სახსრების ანგარიშგების ფორმაში აისახება გამოცალკევებით.

37. ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიები განისაზღვრება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე.

38. საბიუჯეტო სახსრებით შექმნილი არასამერწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციები, ფულადი სახსრების ნაკადებს წარადგენენ საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე ისეთი ფორმით, რომელიც ყველაზე მეტად მისაღებია მათი საქმიანობისათვის.

39. მაკონტროლებელ და კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის მოსალოდნელია ფულადი სახსრების ნაკადების შემდეგი ტიპები, რომლებიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, განსხვავებულად აღირიცხება:

- ა) კაპიტალის ინვესტიცია;
- ბ) სესხი
- გ) გრანტი ან სუბსიდია
- დ) გადახდები საქონელსა და მომსახურებაზე
- ე) კაპიტალის დაბრუნება
- ვ) სესხის დაფარვა
- ზ) დივიდენდების ან მოგების წილის გადახდა
- თ) პროცენტის გადახდა
- ი) გადახდები საქონელსა და მომსახურებაზე

## **მუხლი 9. არაფინანსური აქტივები**

1. არაფინანსური აქტივების აღრიცხვის დროის და ღირებულების განსაზღვრისა და აღიარების წესი განსაზღვრულია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი კანონმდებლობით.

2. არაფინანსური აქტივების ასახვა ანგარიშგებაში ხდება აგრეგირებული მაჩვენებლებით და მათი კლასიფიცირების საფუძველია საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელიც თავისთავად სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიის (GFSM2001) საფუძველზეა შემუშავებული.

3. სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, არაფინანსური აქტივები ფასდება რეალური ღირებულებით.

4. არაფინანსური აქტივები ანგარიშგებაში აისახება საბალანსო ღირებულებით, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯების გათვალისწინებით.

5. არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრის გარეშე.

6. არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- ა) ძირითადი აქტივები;
- ბ) მატერიალური მარაგები;
- გ) ფასეულობები;
- დ) არაწარმოებული აქტივები.

7. ფინანსურ ანგარიშგებას განმარტებით შენიშვნებში დაერთვის დამატებითი ინფორმაცია ფიზიკური ცვეთის, შემთხვევითი დაზიანების ან მორალური ცვეთის შედეგად აქტივების ღირებულების შემცირებაზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარების სახით.

## **მუხლი 10. შემოსავლები**

1. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, შემოსავლების კლასიფიკაცირება ხდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით.
2. შემოსავალი წარმოადგენს ოპერაციის შედეგად კაპიტალის ზრდას.
3. შემოსავლები ანგარიშგებაში უმეტეს წილად დარიცხვის მეთოდით აისახება.
4. საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე, დეპოზიტები არ აღიარდება შემოსავლებად. დეპოზიტების კლასიფიცირების მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად აკმაყოფილებს მიღებული დეპოზიტები აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს და აღიარების შემთხვევაში, რამდენად სავალდებულოა შესაბამისი ფინანსური ვალდებულების აღიარება.
5. შეცდომით მიღებული შემოსავლების დაბრუნებები უარყოფით შემოსავლებად განიხილება.
6. სახელმწიფო ერთეულები საქონლის და მომსახურების რეალიზაციას ახორციელებენ უსასყიდლოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით, მათ მიერ გაყიდვით მიღებული შემოსავლები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია საბიუჯეტო კოდექსით, აღირიცხება, როგორც არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება, როგორც საბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია. შემოსავლებზე დეტალური ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას დანართების სახით ერთვის, ამასთან ხდება განმარტებით შენიშვნებში დარიცხული და საკასო შესრულებით მიღებულ შემოსავლებზე აღრიცხვის მონაცემების მითითება, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახდები და ტრანსფერები, სანქციები, ჯარიმები, საურავები) მიღებული შემოსავლების გამოყოფა.
7. საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ფინანსური აქტივის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში უწყვეტ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, პროცენტის დარიცხვა და შემოსავლად აღიარება ხდება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიით (GFSM 2001) განსაზღვრული „გადახდის ვადის დადგომის საფუძველზე აღრიცხვის მეთოდით“ და აღირიცხება თანხის გადახდის ვადის დადგომისას. ანგარიშგებაში მიეთითება პროცენტები მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე.
8. ანგარიშგებაში პროცენტებისგან გამოცალკევებით მიეთითება ინფორმაცია რენტაზე.
9. არაფინანსური აქტივის გასვლა გაყიდვით ან ბარტერით, (გარდა სათადარიგო ნაწილების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ფულადი დოკუმენტების, გასაყიდად შემენილი საქონლის), გავლენას არ ახდენს კაპიტალის (წმინდა ღირებულების) მოცულობაზე როგორც არაფინანსური აქტივებით ოპერაციები და არ აისახება შემოსავლებში.
10. შემოსავლების ანგარიშები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განულდება კაპიტალის შესაბამის ანგარიშებზე გადახურვის შედეგად (შემოსავლების შინაარსიდან გამომდინარე) და აისახება კაპიტალის/წმინდა ღირებულების ცვლილების ანგარიშგებაში.

## **მუხლი 11. კაპიტალი**

1. ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალის ანგარიშებზე აღირიცხება: წმინდა ღირებულება და საკუთარი კაპიტალი.
2. წმინდა ღირებულება/საკუთარი კაპიტალი შესაძლებელია იყოს დადებითი ან უარყოფითი.

3. სახელმწიფო ერთეულის ფინანსური შედეგების განსაზღვრა ხდება ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით, ბიუჯეტის შესახებ კანონით გაწეული გადასახდებლებით, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით და ამ შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯებით, ფლობით მიღებული მოგება/ზარალით და ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის განხორციელებული აქტივების (ვალდებულებების) უსასყიდლო გადაცემა/მიღებით.

4. წმინდა ღირებულებაზე გადაიხურება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების, შემოსავლების, ხარჯების (ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების გარდა) ანგარიშები.

5. წმინდა ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ყველა აქტივის (გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივების) მთლიან ღირებულებასა და ყველა ვალდებულების (გარდა ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებების) მთლიან ღირებულებას შორის.

6. საკუთარ კაპიტალში აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი: გაუნაწილებელი მოგება და დაუფარავი ზარალი.

7. საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალზე აისახება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შედეგი (შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა).

## თავი 12. სააღრიცხვო პოლიტიკა და შეცდომები

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ისე უნდა შეარჩიოს და განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომ ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაში იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების წინამდებარე წესის ყველა მოთხოვნასთან.

2. ხელმძღვანელობის მიერ შერჩეულმა სააღრიცხვო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც:

ა) მნიშვნელოვანია მომხმარებელთათვის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

ბ) საიმედოა შემდეგი თვალსაზრისით:

ბ.ა) კეთილსინდისიერადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა და ფინანსური საქმიანობის შედეგები;

ბ.ბ) ასახულია ოპერაციების და სხვა მოვლენების ეკონომიკური არსი და არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმა,;

ბ.გ) არის ნეიტრალური და თავისუფალია ყოველგვარი ტენდენციურობისაგან;

ბ.დ) არის წინდახედული; და

ბ.ე) სრულყოფილია ყველა არსებით საკითხში.

გ) ანგარიშგების ყველა მონაცემი შესაბამისობაშია ანგარიშგების დანართებთან.

3. ორგანიზაცია ვალდებულია აირჩიოს და გაატაროს ერთი შესაფერისი პოლიტიკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესი სპეციალურად მოითხოვს ან უშვებს მუხლების კატეგორიზაციას (კლასიფიკაცია, მოვლენები, ბალანსი, თანხები, ა.შ.), რომელთათვისაც უნდა მოხდეს პოლიტიკის შერჩევა. თუ წესი მოითხოვს ან უშვებს მუხლების ცალკეულად კატეგორიზაციას, თითოეული კატეგორიისათვის შერჩეული და გატარებული უნდა იქნეს ერთი სააღრიცხვო პოლიტიკა.

4. ერთი ბუღალტრული მეთოდიდან მეორეზე გადასვლა არის ბუღალტრული პოლიტიკის ცვლილება.

5. ცვლილება, ოპერაციის ან სხვა მოვლენის ბუღალტრულ აღიარებაში, გატარებაში ან შეფასებაში არის ბუღალტრული პოლიტიკის ცვლილება.

6. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სპეციფიკური ოპერაციის სხვა მოვლენის განსახორციელებლად არ არსებობს სათანადო წესი, ხელმძღვანელმა თვითონ უნდა მიიღოს შესაბამისი სამართლიანი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების შედეგი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელზე ორიენტირებული.

7. ფუნდამენტური შეცდომები არის შეცდომები, რომლებიც აღმოჩენილია მიმდინარე პერიოდში და აქვს დიდი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
8. შეცდომები შეიძლება იყოს გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტების აღიარებისგან, გამოანგარიშებებისგან, წარდგენისგან ან გამჟღავნებისგან.
9. საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ოპერაციებში აღმოჩენილი შეცდომის გასწორება წარმოებს მიმდინარე პერიოდის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში დამატებითი ბუღალტრული ჩანაწერების მეშვეობით, შესაბამისი ბუღალტრული ცნობის შედგენით, სადაც მითითებული უნდა იყოს ბუღალტრული ჩანაწერის საფუძველი და სხვა საჭირო ინფორმაცია.
10. ორგანიზაციამ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს შეცდომის ფაქტი და ხასიათი და მიზეზები ცვლილებების შეტანის.
11. კორექტირების თანხა ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების თითოეულ მუხლზე (მიმდინარე და წინა პერიოდში).

### **მუხლი 13. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები და მათი ასახვა**

1. საანგარიშო თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები არის ის მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება საანგარიშო თარიღის და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის.
2. ანგარიშგებაში ზუსტად ფიქსირდება შექმნის და დამტკიცების თარიღები.
3. ორ თარიღს შორის მოვლენები გამოიყენება ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანისთვის.
4. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ასევე არახელსაყრელი, რომელთაც ადგილი აქვთ ანგარიშგების თარიღიდან მის დამტკიცებამდე პერიოდში. ასეთი მოვლენებია:
  - ა) მოვლენები, რომელთა დამადასტურებელი პირობები არსებობდა ანგარიშგების თარიღისთვის;
  - ბ) მოვლენები, რომელთა დამადასტურებელი პირობები წარმოქმნილია ანგარიშგების თარიღის შემდგომ.
5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღად ითვლება ანგარიშგების წარდგენის დადგენილ ვადაში, ხელმძღვანელის ან ანგარიშის დამტკიცების უფლებამოსილი პირის მიერ ანგარიშგებაზე ხელმოწერის თარიღი.
6. გამოიყოფა მოვლენების ორი კატეგორია:
  - ა) მოვლენა რომელიც აღწერს პირობების მტკიცებულებებს (ცვლილებები ანგარიშის შექმნის შემდეგ პერიოდში);
  - ბ) მოვლენები რომელიც წარმოიქმნა ანგარიშის შექმნის პერიოდში (მაგრამ ცვლილებები არ განხორციელდება).
7. ერთეულმა უნდა შეიტანოს ცვლილებები ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში:
  - ა) სასამართლო გადაწყვეტილება ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ;
  - ბ) ინფორმაცია შესაძლო დანაკარგის ან გაკოტრების შესახებ და მარაგების გაყიდვის შესახებ;
  - გ) აქტივის შესახებ დამატებითი ინფორმაცია;
  - დ) შეცდომების აღმოჩენა ფინანსურ ანგარიშგებებში.
8. ყოველ არაკორექტირებად მოვლენებზე, ორგანიზაციამ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ნებისმიერ მსგავს შემთხვევაზე და გამოიანგარიშოს მისი ფინანსური ეფექტი (ან იმის მტკიცებულება რომ ამის გაანგარიშება შეუძლებელია).
9. დაურეგულირებელი შემთხვევების მაგალითებია
  - ა) საკუთრების ღირებულების უჩვეულოდ დიდი კლება შეფასებული სამართლიანი ღირებულების პრინციპით;
  - ბ) საზოგადოების მომსახურეობის სფეროს პროგრამების მონაწილეებს შორის დამატებითი სარგებლის გადანაწილება;

- გ) ძირითადი კონტროლირებული ორგანიზაციის შემენა ან გასხვისება;
- დ) ძირითადი საოპერაციო საქმიანობის შეწყვეტის ან აქტივების გასხვისების გეგმის შესახებ განცხადების გაკეთება;
- ე) ძირითადი შენობის ხანძრით განადგურება ანგარიშგების მომზადების თარიღის შემდეგ;
- ვ) ვალების ჩამოწერის შესახებ განცხადების გაკეთება;
- ზ) ცვლილებები საგადასახადო ნორმებში ან კანონებში იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იხდიან გადასახადებს.

#### **მუხლი 14. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ შენიშვნები**

1. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნის სახით განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა საჭიროა დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რათა დაეხმაროს მომხმარებელს როგორც ორგანიზაციის საქმიანობის მდგომარეობის და შედეგების შესახებ, ასევე, აქტივების მართვის ხარისხის და რესურსების განთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებაში.
2. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მოიცავდეს დეტალურ მონაცემებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საქმიანობის შედეგების მაჩვენებლებზე, დასახული პრიორიტეტების და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების შედეგების აღწერას, ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.
3. ორგანიზაციას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებას თან დაურთოს ინფორმაცია სამართლებრივ, მარეგულირებელ და სხვა გარეშე ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის მოცემული შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია, უნდა მიეთითოს იმ დოკუმენტის შესახებ, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს ასეთი სახის ინფორმაციას.
4. ორგანიზაცია ფინანსურ ანგარიშგებას დაურთავს შემდეგი სახის ინფორმაციას:
  - ა) ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირების დასკვნას იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება უტყუარად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შესრულებასა და ფულადი სახსრების ნაკადს;
  - ბ) დასტურს იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით საკითხში, ემთხვევა მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშის შედგენის წინამდებარე წესის მოთხოვნებს, გარდა რამდენიმე მოთხოვნისა, საიდანაც გადახვევა აუცილებელი გახდა იმისათვის, რომ მომზადებულიყო უტყუარი ფინანსური ანგარიშგება;
  - გ) ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი მოთხოვნიდან მოხდა გადახვევა, როგორია გადახვევის ბუნება, სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერის ჩათვლით, მიზეზი, რის გამოც ამ წესის მოთხოვნით აღრიცხვა იქნებოდა შეცდომაში შემყვანი, და მის მაგივრად დაწესებული პროცედურის აღწერას;
  - დ) წესიდან გადახვევის ფინანსური ზეგავლენის შესახებ ინფორმაციას ორგანიზაციის აქტივებზე, ვალდებულებებზე, წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე, ფულადი სახსრების ნაკადზე - აღნიშნული პერიოდის განმავლობაში (ან მტკიცებულებას იმისა, რომ აღნიშნულის გაანგარიშება შეუძლებელია).
5. როდესაც მითითებულია ამ წესის რომელიმე მოთხოვნიდან გადახვევის აუცილებლობაზე, ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს:
  - ა) მოთხოვნის მიზანი და აგრეთვე, მიზეზი, თუ რატომ არის ეს მიზანი მიუღწევადი, ან რატომაა იგი შეუსაბამო ამ კონკრეტულ გარემოებაში; და
  - ბ) რითი განსხვავდება ორგანიზაციაში შექმნილი გარემოება იმ ორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს.

ორგანიზაციის დასახელება

---

ფინანსური ანგარიშგება

20 წლის 31 დეკემბრისათვის

პერიოდულობა: წლიური

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

დამრგვალების დონე: ერთეული

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

	დასახელება	ანგარიში	-----31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	-----31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	<b>აქტივები</b>			
020	<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
030	ფულადი სახსრები			
040	მოთხოვნები და დებიტორული დავალიანებები			
050	სხვა მოკლევადიანი აქტივები			
060	მათ შორის:			
070	მატერიალური მარაგები			
080	<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>			
090	<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
100	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები			
110	ძირითადი აქტივები			
120	ფასეულობები			
130	არაწარმოებული არაფინანსური აქტივები			
140	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები			
150	<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>			
160	<b>სულ აქტივები</b>			
170	<b>ბალანსი</b>			
180	<b>ვალდებულებები</b>			
190	<i>მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები</i>			
200	<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
210	ფინანსური ვალდებულებები			
220	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები			
230	მათ შორის:			
240	მომუშავეთათვის გადასახდელები			
250	ვალდებულებები წინასწარ მიღებული თანხებით			
260	ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან			
270	სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები			
280	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები			
290	<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები</b>			
300	<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
310	გრძელვადიანი სესხები			
320	ფინანსური ვალდებულებები			
330	კრედიტორული დავალიანებები			
340	<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
350	<b>სულ ვალდებულებები</b>			
360	<b>კაპიტალი</b>			
370	აქტივების წმინდა ღირებულება			
380	გაუნაწილებელი მოგება			
390	დაუფარავი ზარალი			
400	<b>სულ კაპიტალი</b>			
410	<b>ბალანსი</b>			



ფორმა N2  
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

	დასახელება	-----31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	-----31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	<b>ბიუჯეტიდან დაფინანსება</b>		
020	<b>შემოსავლები</b>		
030	გადასახადები		
040	სოციალური შენატანები		
050	გრანტები		
060	სხვა შემოსავლები		
070	ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები		
080	ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		
090	გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები		
100	დ. ნებაყოფილებითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა		
110	ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		
120	<b>სულ საანგარიშგებო პერიოდის შემოსულობა</b>		
130	<b>ხარჯები</b>		
140	მომუშავეთა ანაზღაურება		
150	საქონელი და მომსახურება		
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		
170	პროცენტი		
180	სუბსიდიები		
190	გრანტები		
200	სოციალური უზრუნველყოფა		
210	სხვა ხარჯები		
220	<b>სულ საანგარიშგებო პერიოდის გადასახდელი</b>		
230	<b>ფინანსური შედეგი</b>		

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

	დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010	წმინდა ღირებულება/მოგება-ზარალი				
020	კორექტირებები:				
030	ცვეთა (+)				
040	არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) მიღებიდან /გასვლიდან მოგება/ზარალი (-/+)				
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)				
060	მ.შ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები				
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება(-/+)				
080	კრედიტორული დავალიანებები ზრდა/კლება(+/-)				
090	წმინდა მოგება/ზარალი ფლობიდან (-/+)				
110	დამაბალანსებელი მუხლი (+/-)				
120	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან				
130	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
140	არაფინანსური აქტივების შესყიდვა				
150	ძირითადი აქტივები				
160	სტრატეგიული მარაგები				
170	ფასეულობები				
180	არაწარმოებული აქტივები				
190	არაფინანსური აქტივების გაყიდვა				
200	ძირითადი აქტივები				
210	სტრატეგიული მარაგები				
220	ფასეულობები				
230	არაწარმოებული აქტივები				
240	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
250	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
260	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა				
270	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა				
280	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან				
290	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება				
300	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში				
310	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს				
320	ბიუჯეტში გადახდილი თანხები (+)				

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		ბიუჯეტით	საკუთარი სახსრებით	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			
020	ფლობით მიღებული მოგება/ზარალი			
030	კურსთაშორის სხვაობით			
040	რაოდენობრივი ცვლილებით			
050	გადაფასებით			
060	აქტივების/ვალდებულებების სხვა ოპერაციებით			
070	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებით			
080	მ.შ შემოსავლების საკასო შესრულებით			
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით			
100	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი			
110	ნაშთი წლის ბოლოსათვის			

ფორმა N5

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში

	დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები							
020	მათ შორის:							
030	შრომის ანაზღაურება							
040	არაფინანსური აქტივების ზრდა							
050	ფინანსური აქტივების ზრდა							
060	ვალდებულებების კლება							



დანართი N3

სხვა მოვლენების შედეგად ფლობით მიღებული მოგება/ზარალი

	დასახელება	მოგება ღირებულებითი ცვლილებით	ზარალი ღირებულებითი ცვლილებით	მოგება რაოდენობრივი ცვლილებით	ზარალი რაოდენობრივი ცვლილებით
010	<b>ფინანსური აქტივები</b>				
020	მათ შორის:				
030	ვალუტა და დეპოზიტები				
040	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
050	სესხები				
060	აქციები და სხვა კაპიტალი				
070	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
080	სხვა დებიტორული დავალიანებები				
090	<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
110	მათ შორის:				
120	ვალუტა და დეპოზიტები				
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა				
140	სესხები				
150	აქციები და სხვა კაპიტალი				
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები				
170	სხვა კრედიტორული დავალიანებები				

